ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 22 02 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 55-ნ
ქ. თბილისი

რექტორის 2017 წლის 6 ოქტომბრის N273-ს ბრძანებაში „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2017 - 2018 აკადემიური წლის ადმინისტრირების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ” ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანის ლევან ჯიქიას 2018 წლის 22 თებერვლის N761 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2017 წლის 6 ოქტომბრის N273-ს ბრძანებაში „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2017 - 2018 აკადემიური წლის ადმინისტრირების შესახებ“ და ბრძანების დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, ბუღალტერიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკენეტს.
3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი

მასწავლებელთა მომზადების პროგრამა

აკადემიური კალენდარი

შემოდგომის I სემესტრი

9 ოქტომბერი - 24 თებერვალი

9 ოქტომბერი - 27 იანვარი - სააუდიტორიო მეცადინეობა

5 თებერვალი - 24 თებერვალი - ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება

უქმე დღეები

23 ნოემბერი - გიორგობა (ხუთშაბათი)

1-7 იანვარი - საშობაო არდადეგები

19 იანვარი - ნათლისღება (პარასკევი)

გაზაფხულის II სემესტრი

22 თებერვალი - 14 ივლისი - სააუდიტორიო მეცადინეობა, ძირითადი და დამატებითი გამოცდები

უქმე დღეები:

3 მარტი - დედის დღე (შაბათი)

8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე (ხუთშაბათი

2 – 8 აპრილი - სააღდგომო არდაგეგები

9 აპრილი - ეროვნული ერთიანობის დღე (ორშაბათი)

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე (ოთხშაბათი)

12 მაისი - წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე (შაბათი)

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე (შაბათი)